საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 28 დამატების № 6

კვირა, 5 თებერვალი, 1917 წ.



† ალექსანდრე ბესარიონის ძე ჭიჭინაძე.

მსხვერპლშეწირვა. ნახატი ს. პ. ლადიკინისა.

გია

ლურჯო გიავ, გაზაფხულის სტუმარო,
კდემით სავსევ, მარად ნაზო, მდუმარო!
სევდა დაჰქრის შენსა გარეშემოსა,
შენი სული მორცხვობით ვინ შემოსა?
შენა ჰგავდე ჩემს მიჯნურსა მგონია;
რა დაგხედე, მსწრაფლ წარმტაცე გონია!
ეგ ფურცელნი სატრფოს თვალსა უდარე
ლურჯს ფერით ტურფად შემოსუდარე?
წამიერსა გმოსავს იდუმალობით!
ნუ თუ მხოლოდ შენ გეპყრობა წყალობით?
ის გინახავს, იქმენ სატრფოს სადარი!
მეც მასწავლე, მისი ბინა სად არი?.

მხედარი

დაბურულს ტყე-ღრეში გრიგალი ჰქრის.
მთაბარი ზანზარებს, გრიალებს, თრთის.
მერანი მხედრისა ჭიხვინებს, რბის.
ოშხივარს ნესტოდგან ფრუტუნით ჰყრის.
მძლავრითა ჩლიქითა მიწასა სთხრის,
სად მიჰქრის მხედარი? რა უნდა ვის?
შეჰხედეთ კოშკია თხემზედა მთის!
იქ რძალი ზენარი სარკმელთან ზის.
გაჰყურებს მიდამოს, მწარედა სტირს.
რა ნაღველს შეჰყრია, რა სევდა სჭირს?
მიჯნურსა მოსტაცეს, ტყვედ არის ის!

გულში ვკლავ..

ზუზუნებს ქარი..
კრთის ელვა ჩქარი!
გრიალებს მეხი
ქვაკლდეთა მტეხი.
წვიმა სცემს სარკმელს...
გულში ვკლავ სათქმელს!

ვითა ბუნება,
შფოთავს გუნება.
არ ძალმიძს ლოცვა,
სევდის წარხოცვა.
რის ვაკმევ საკმელს
გულში იკლავ სათქმელს!..

სანდრო შანშიაშვილი.

თეთრი ზამბახი

(რომანი)

V

ყოველთვის, როდესაც შინ დაბრუნებულა, ასე ჰგონებია, თითქოს მთელს საუკუნის განმავლობაში არ ენახოს. მისი ნახვა, მასთან ყოფნა, თუნდა უხმო საცქერლად, ერთგვარს მოთხოვნილებად გარდაექცა. ქვეყნიერობაზე თუ რომ არსებობდა მშვენიერი და აზრიანი, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ შეყვარებული გული. დაე, ყოველისფერი ჩაინთქეს, დაილუპოს მის ნაზ წიაღში, როგორც მაისის ცქრიალა განთიადის სხივებში. „მალი“, აი წარმტაცი სიტყვა, როგორც აღთქმულ სამოთხის მითიური მშვენიერება. ლელოსთვის „მალი“ უწმიდესი ცნება იყო, რომელიც ყოველ საიდუმლოსა ჰხსნიდა, როგორც სასწაულთა სასწაული. მის გარეშე ლელოსთვის ცხოვრება მეტად ტლანქი რამ იყო, აუტანელი, არარაობის თანასწორი. რა იყო ამ დროს მისთვის ცა, ანგელოსთა უმანკო ტრფიალი, იმასთან შედარებით, რასაც მას ანიჭებდა მალის თუნდა უბრყვილო ღიმილი, ცქრიალა კისკისი, ალერსიანი მისი სიტყვა. საზოგადოება და ხმაურობა შესძაგრდა. ქუჩაში ველარ ნახავდით. ნაცნობმეგობრებს ჩამოჰშორდა. მრავალი მოიმდურა, მრავალი ცუდად უყურებდა. ვინ იცის, რა არ დასწამე', რა ჭორები არ გაუვრცელეს. ზოგი სიამაყეში ართმევდა, ზოგი კიდევ უხასიათობაში. არავის ჰსურდა გაეგო, რომ ლელოსთვის ბედნიერება სწორედ მყუდროება იყო, თავდავიწყება. მალის ერთი საათით ჩამოშორება მარტოობას აწყურებდა, რომ ოცნებით დამტკბარიყო, როგორც განდეგილი ილუზიათა ჯადოსნური სურნელოვნებით. მას არ ჰსურდა დაეჯერებინა, რომ ქვეყნად ყოველისფერი წარმავალია, წუთი მეორე წუთს აღარ ეკუთვნის, ვარდის კოცნის მოწყვეტა ჰბარდება მარადისობას, თვით ტანჯვაც თითქოს წამებით ისაზღვრება. მარადიული განცდა, მარადიული ტანჯვა, ერთ გამქრალ ილუზიის ადგილას ახალის შობვა, ახალის ნაღველით გადასერვა და ჩამოკაწვრა გულმკერდისა, რომ თვითეულს ჭრილობიდან ეფეთქნა ახალს სიცოცხლის ახალს კოკორს,—აი რას ეტრფოდა ლელო. მისი ოცნება დანგრეულ თავდავიწყების კოშკში წარმოიდგენდა სიახლოეს, ახალს შობვას, წარმოიდგენდა წარმოუდგენელს, ვითომც მალი მისია, თითქოს იქარწინა კიდეც, მის კალთის ჰამაკში წევს და ტკბილ ზმანების ნეტარებით სტკბება, ითვრება. ოცნება და სინამდვილე, მოჩვენება და სხეული ერთმანეთში ერეოდა და მომხიბვლელ ფეირვერკით უთანათინებდა მის სევდიან თვალებს. ეს სულ სხვა რამ იყო, სულ სხვა სახის სილამაზე, სხვა ოცნების მასაზრდოვებელი მშვენიერება, რასაც წინად მხოლოდ რჩეულ მგოსანთა ნაწარმოებთა შორის ჰხვდებოდა. რა უფერული და გულუბრყვილობით დაბრმავებული იყო ამ მხრივ მთელი წარსული ყრმობის ხანა, ეს ის ხანა, როდესაც ქალის ღიმილის დანახვაც კი მორცხვობით ჰრთავდა, როგორც ახლად აღკვეცილს ჭაბუკ მწირს მადონას მშვენიერებით აფეთქებულ ვნების შეგნება. იმ დროს ლელო რომანებისა და პოემების კითხვით კმაყოფილდებოდა ანუ რომელიმე მხატვრის ნაწარმოების ხილვით, ან და მოქანდაკის მიერ მარმარილოთი ნაკვეთ მშვენიერებით. ახლა კი ყოველისფერი ღირებულება გარდაფასებულ იქმნა. რა შედარებაა ოცნება და სინამდვილე! განა მალი ოცნებაზე უტკბესი არსება არ იყო? განა მალი მის მოზხამულ ბედნიერების მარადისობას არ წარმოადგენდა, როგორც საშინელი ღმერთი და მის გარშემო შესრულებული მომაკვდავთათვის უცნობი საღმრთო წესი და ადათები? მალი მისთვის, დიახაც, სიხარულისა და კეკლუც აღტაცების სხივებში მოქსოვილი ყვავილის სანეტარო სონეტი იყო, რომელიც შეიცავდა და აღავსებდა მთელს მის წარსულს და დამტანჯველს მის მომავალსა, რომლის მუსიკა აბრუებდა მის დატანჯულ სულსა. გრაციითა და ნაზი სიმტკიცით სავსე მალის ჰაეროვანი მოძრაობა, მისი ოდნავი შერხევაც კი ლელოსთვის ნამდვილი ღვთაებრივი ბზის შტოთა საიდუმლო ჩურჩული იყო, რომელიც უდაბნოში გადაკარგულს მოგზაურს განსასვენებლად მოუწოდებს თვალთმაქც ჩვენებით.

სრულიად მოწყვეტილი ერთად ერთი ანთებულ გულის ანაბარად ხშირად გაჭრილა გარედ და უდროუდროოდ მოჰყოლილა ხეტიალს. ტუჩები უთრთოდნენ. საყვარელ არსების აღევზნებული ლანდი არ ასვენებდა როგორც ეულს, ფეხდაფეხ სდევდა, კოცნად უხმობდა, აგებებდა გაფიცხებულს ტუჩებს, მაგრამ სადედოფლოს გადმოხრილ ტუჩთა კოცნის ნაცვლად საზარელი სიცილ-ხარხარი მოესმოდა. რა კარგი იყო ეს თამაში. ლელოს ეს ტანჯვა სიცოცხლის ფასად უღირდა. ჰსურდა, ეს დაცინვა ათასჯერ განმეორებულიყო, ოღონდ მარტოდ მარტო ნუ იქნებოდა. იგი მთელს თვის გრძნობებით მოუწოდებდა საყვარელ ლანდს. მის მაცდურს ჰაეროვან შემოხვევას სინამდვილედ ღებდა, დაცინვას ლოცვა-კურთხევად. ისე ჰგრძნობდა თითქოს მალი კი არ მაცდურობს, არამედ ნამდვილად მასთანაა, ეხვევა ხორციელად, მთელს თავის ქალწულების უბიწო გატაცებით, როდესაც ღმერთი მართლა ღმერთობს და მის მეუფებასაც ბოლო ეღება მათს დაშორების უმალ. ალერსით დაწნული გვირგვინები დაფნის შრიალით ჩასჩურჩულებდა საყვარელ შაბლონს „მიყვარხარ... საუკუნოდ შენი ვიქნები“... ვინ ასწერს ამ დროს ამ სიტყვის გრძნეულ ძალის მშვენიერებას! და აი ლელოსაც სჯეროდა ყველა. აუწერელის სინაზით და დაუსრულებელის ჰარმონიით აღსავსე გულით მაისის ვარდად იშლებოდა, ზურმუხტ შტოს ღერით განგებ მალისკენ იხრებოდა, თითქოს ჰსურს გამოსთხოვოს თუნდა მხოლოდ ერთი კოცნა, რომ დამშთვალს სულს ჟუჟუნა ცვარნამი ეღირსოს, აჯეჯილდეს და ზურმუხტად აბიბინებული მის ნიავის ფრთით მოჰყვეს ლალანს და ღვთის ქებასო.

— აჰ, რომ შეიძლებოდეს ყვავილად გარდავიქმნე, თუნდა იმ „თეთრ ზამბახის“ სახიერებად, რომელიც ასე რიგად მიყვარს, როგორის სიყვარულით დავმშვენდებოდი მის ოთახში და მუსიკის კვნესას იდუმალის ხმით ჩავაქსოვდი ჩემს სულის კვნესას. ასე დამდნარი და დამჭკნარი მის თამაში დროს მოულოდნელად მოვწყდებოდი და შუშის ვაზიდან თეთრ ფიფქის სახით ვიწყებდი თოვას როიალის შავს სახურავზე.

მაგრამ ყოფილა ისეთი წუთები, როდესაც უკიდურესობისთვის მიუმართნია. ამ დროს შესძაგებია თავისი თავი.

— რის მაქნისი ვარ? ასეთი გაუბედავი და ლაჩარი ვის რად უნდა? მუდამ გულჩათხრობით ყოფნა, შუბლის შეკვრა, აჩრდილთა გამოკიდება და ბედის ჩივილი და არასოდეს მოქმედება! ეს ხომ ჰამლეტიზმის საზარელი შაბლონი არის! შორს ასეთი ყოყმანი და გაუბედაობა! რაო ჩემო რომ უყვარს! მეც ხომ მიყვარს, მაშასადამე, მეც მაქვს უფლება მშვენიერებას დავეუფლო. განსხვავება ისაა, რომ ის წინად შეჰხვდა, დამასწრო, მე დავაგვიანდი... დაგვიანება კი მხოლოდ თვალთმაქცური და მეტად ყალბი, გამოუსადეგარი საბუთი გახლავსთ რაიმეს დასამტკიცებლად. ცხოვრებას მნიშვნელობა სწორედ ასეთი სიფუქსავატისგან ეკარგება და ცნებათა აღრევაც სწორედ მისგან წარმოძდინარეობს. ტრფიალება ყველას ერთგვარ უფლებას ანიჭებს. და თუ გაბედულად არ ვიქცევი, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემში სჭარბობს ცხოვრების ზედმეტ ბარგ ჰამლეტის გრძნობა, მისი გული. ვგრძნობ ცეცხლს და არ არის ხებისყოფა, რომელიც ძლიერად უნდა სტოკავდეს ალმოსახეთქად. რა ვარ ეს ჭია ადამიანი, თუ კი ჩემს სურვილს ვერ გავფურჩნი, რომ მალის ფერხთან ცხადად გავშალო ჩემს გრძნობათა ოქროს თავთავი, მივიკრა გულზე და გარდვუშალო მრისხანე, მაგრამ სანუკვარო გრძნობათა საიდუმლო! ავაზაკი ვარ ჩემს გულის წინაშე. ჩემში არა ჰქრის საღი, ძალოვანი პიტალო სტიქია, არა ჰფეთქს ღვთაებრივი სიჭაბუკის ამაყი სისხლი, არაა აპოლოხი, დიონისოს ზურგი მაქცია, არც თუ პერსეს ლამაზ კუნთებს ვუყურებ მკლავზე, რომ შიშველი, მისსავით სრული, ტახადი, დაფნის გვირგვინით და დამკვრახულ მტევნებით შემოფარგლული თვით ვეწვიო ჩემს სულის სასძლოს, ჩემს სიძლიერეში დავარწმუნო, გავიდედოფლო, დავავიწყო რომ არსებობს სხვა მეტოქეც, სრულიად უყოყმანოდ გარდავაწყვეტინო ჩემთან ყოფნა, წარვიტაცო შორს-შორს, უდაბნოს რომელიმე ოაზისში შრიალა ბზათა ჩრდილს ქვეშ ანუ დაშანთულს კლდის საწოლზე, რომ იქ, მხურვალე ფილაქანზე ჭაბუკ ბედუინის ვნებათა ცეცხლით დავწვა, დავადნო, ვადიდებინო წარმართობის დიადი ღმერთი.

უზომოდ შესძაგდა თავის თავი.

— ასეთი ყოფნა ნამდვილი პარალიტიკის შესაფერია,—სჩიოდა თავისთვის,—და მე ხომ ჯერ დამბლა არ მომსვლია, რომ მეშინოდეს მისმა შეხებამ და სარეცლის გაზიარებამ არ დამასამაროს მეთქი. არა, ასე არ შეიძლება. ჯერ ჩემი ჭაბუკობის შემოდგომა არ დამდგარა, გაზაფხულის სილაღით ვჯეჯილობ. ჩემს გარშემო ყოველისფერი ზურმუხტად ჰფეთქს, მივალ, ყოველისფერს ვეტყვი, ავუხსნი... გეგესაც მივსწერ ლაიპციგში მონახოს სხვა, ერთი სიტყვით, რაც უნდოდეს ისა ჰქნას, ოღონდ ჯვარედინს გზაზე ნუ გადამეღობება.

დაბეჯითებით გასწვდა მალის ბინდისკენ, ეგონა, ამით ყოველისფერი გათავდებოდა, ეს უკანასკნელი შეხვედრა იქნებოდა ჰოსა[illegible] გადასაწყვეტად. მაგრამ მივიდოდა თუ არა, კარებში ატუზული მთელს საათს ლოდინში და ყოყმანში ატარებდა. როდის-როდის ფრთხილად მიუკაკუნებდა კარებს და ათრთოლებულის გულით მოელოდა დიასახლისის გამოჩენას.

— თქვენა ხართ? რატომ დაგვიანდით?

ჰკითხავდა ცქრიალა დიასახლისი და ლელოც ჩვეულებრივი ჰანგით მოიბოდიშებდა, ესა და ეს შემხვდა, აქა და აქ ვიყავი და იმიტომ დავაგვიანდიო. მალის ამასობაში გაწყობილი ჰქონდა ჭიქა ჩაი. შეექცეოდნენ. ამ მთის ზღაპარს იმ მთის ზღაპრად გადაჰხლართავდნენ და ბოლოს ხელოვნებით გაათავებდნენ. მალი აღტაცებით მოუყვებოდა თუ დღეს რა პროგრესს მიაღწია, შტრაუსის ვალსები როგორ დასძლია ან და რა მისწერა გეგეს.

— წარმოადგინეთ, გეგე გაგიჟებით მიყვარდება,—ეუბნება ერთხელ,—რა მემართება, არ ვიცი, მაგრამ ასეთი სისულელე კი მიცვავს. ასე მგონია, ეს ოთახი სურნელით აივსო და მის სიყვარულს მოაფრქვევს მეთქი. სულ იმის ფიქრსა და ალერსში ვარ, ველოლიავები იმ წუთს, როდესაც ჩამოვა... მოუთმენლობა მკლავს, როდის მოვა, რომ სამთავე ასე მყუდროდ, მეგობრულად დავსხდეთ ერთად და... არა, სისულელეა, გახა, რომ ბავშვსავით ასე ვტიტინებ?

— განა როდის აქეთია, რომ ასე გახდით?

— რაც თქვენ გაგიცანით.

მალიმ ვერც კი შეჰნიშნა თუ გულუბრყვილო განცხადებაზე ლელო როგორ გაფითრდა.

— ჰო-ო?

ათრთოლებულ ხმამ მიიქცია მალის ყურადღება. მხოლოდ ეხლა შეჰნიშნა ლელოს მიბინდებულ თვალთა გაშტერება და თავის და უნებურად უცბად თვითონაც წამოჭარხლდა და ხმა ჩაუწყდა.

VI

როდესაც მარტოდ დარჩა, მალი ბევრს ეცადა ლელოს გაფითრების საიდუმლო ამოეკითხა, მაგრამ ეს ისევ გაუგებარი იყო მისთვის, როგორც მისი უნებური წამოწითლება. ბოლოს ექვები გაჰფანტა:

— შეუძლებელია, შეუძლებელი! ლელო მაგას არ იზავს.

გული დაიმშვიდა და ახლა სხვა ახალს დაუბრუნდა. საშინლად სწყინდა, რომ ლელომ მხატვრობაზე გული მიცრუვა.

— აქ მე მასწავლის და თვითონ კი არაფერს აკეთებს. რა საჭიროა? ვის რად უნდა ჩემი საშვალო დაკვრა? სულ ერთია, ვირტოუზი არ გამოვალ და თუნდაც გამოვიდე, საშვალო ცოდნის მამაკაცი, ვისაც ვირტოუზობის დიპლომი არ მიუღია, მაინც მაჯობებს. მეტად ვაზვიადებთ ქალებს: უფლებებს და გათანასწორების მოვითხოვთ იქ, სადაც თანასწორობას ვერ შევძლებთ. დღემდე და მომავალშიც ხელმწიფება ყოველს სფეროში მამაკაცთ ეკუთვნით. ქალი ვარ, მაგრამ რაც მართალია, მართალია! ქალს თავის გრძნობათა გარდმოცემა, სფიხიური ანალიზის მოხდენაც კი არ შეუძლიან, თუ მამაკაცი არ დაეხმარა. ჩვენი ხელოვნება სიკეკლუცით უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილი ბრძოლის ველზე.

შემოიფარგლოს. მარტივი სიკეკლუცე—აი ქალთა უმაღლესი ხელოვნების დევიზი!

ამიტომაც როდესაც ნახავდა ლელოს, სულ საყვედურით ალჩობდა.

— რატომ დაანებით ხატვას თავი? ხომ იცით, ხელოვნება ჩვენში პირველ ყოფაშია, ყოველ შემთხვევაში რაც დამოუკიდებლობა დავკარგეთ, პროგრესისკენ ფეხი არ გადაგვიდგია. შევიყინეთ. ახალთაობა მოვალეა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ვისაც რა შეუძლიან, მით ემსახუროს სამშობლოს კეთილდღეობის გაფურჩვნას.

ლელო დასტურსა სცემდა. ჰპირდებოდა, ვიმუშავებო, მაგრამ ნამდვილად არას აკეთებდა. დღითი დღე სიყვითლემ სნეულის შეხედულობა მისცა. მალი ჰშფოთავდა. არ იცოდა, რით და როგორ გაეწია დახმარება. ხშირად წასულან სასეირნოდ, თეატრებს არ აკლდებოდნენ. უნდოდა, ამით გაერთო იგი, მაგრამ მაინც ვერას გახდა. ლელო ყვითლდებოდა და ყვითლდებოდა. მალის ალღომ დაუწყო კვნესა. ქალურმა გრძნობამ და ცნობისმოყვარეობამ იწყო წამოქოთება.

— ლელო... მაკვირვებთ... ღმერთმანი, რა გემართებათ არ ვიცი,—ეუბნება მალი ერთს მშვენიერს საღამოს, როდესაც ჩაის სმა გაათავეს: ბავშვი ხომ არა ხარ, უნდა თავს მოუარო.

— შემიძლიან და არ ვუვლი?

— კი არ გეტყობათ და...

დუმილი ჩამოვარდა. მოწყენილობამ დაისადგურა. ისევ მალიმ სცადა გამხიარულება.

— იცით, ლელო, გეგესგან წერილი მივიღე. სალამს გიძღვნის, ძალიან გაჰხარებია ჩვენი დამეგობრება.

— მართლა?

— დიახ... ბევრსაც მეხუმრება... წაგიკითხავდით, რომ...

— არა, რათა... მე მაინც...

— ახლა საწყენად ხომ არ ვსთქვი, აქ ისეთი არა სწერია რა... შეგიძლიანთ წაიკითხოთ...

— გმადლობთ...

— სხვათა შორის საინტერესო ის არის, რომ მაისისთვის დისერტაციას წარადგენს და მარიამობისთვისთვის ჩამოვა.

მალი ატიტინდა. ათასი ოცნების ხარე გადაჰშალა. ასე მოვიქცევით, ამას გავაკეთებთ, იმასაო და ვერ ამჩნივდა თუ მისი საუბარი რა მძმუნვარე შთაბეჭდილებას ახდენდა ლელოზე. ბოლოს ლელოც ამეტყველდა. მღელვარე ამამ მალი შეაკრთო, წინა დღით შთასახული ეჭვები წამოუქოთა, თუმცა არა შეანიშვნინა-რა და ეცადა, როგორმე გაემხიარულებინა.

— რა ვქნა, რადა ხართ ეგრე მოწყენილი? ნუ ხართ აგრე სევდიანი, გამხიარულდით... მაგრამ ჰო... რა სულელი ვარ... ქალებს ხომ განსაზღვრული გონება გვაქვს და სად შეგვიძლიან მამაკაცთა აზრები დავაინტერესოთ.

კიდევ ბევრი რამ უთხრა. ლელო აინთო. უნდოდა ეთქვა, რომ ქალის ტუჩთა თუნდაც უცხო მეტყველება მთელს მამაკაცთა აზროვნებასა და მჭერმეტყველობაზე უძლიერესი და შინარსიანიაო, მაგრამ ვერ მოახერხა. ერთი სურვილით იყო გატაცებული, საჩქაროდ გასცლოდა ამ ოთხს და უკვალოდ ჩაკარგულიყო.

— ლელო,—მოკრთალებით შეჰნიშნა მალიმ და სევდით მოცულს თვალებში ჩააცქერდა.

— ნუ მიყურებთ, მალი, ნუ, ნუ...

შეევედრა ლელო და თვალები მოიფშვნიტა, რომ მოგუბებულ ელექტრონის ნაპერწკლები გადმოექცევსნა.

მალი სახტად დარჩა.

— ლელო, ლელო..

შეჰნიშნა გაფითრებულმა და ამღვრეულს თვალებში უფრო დაკვირვებით დაუწყო ყურება, თითქოს გრძნეულ ლურსმებით ჰსურს ჩაეკრას და საიდუმლო ფსკერიდან ამოსწუროს ამოსაცნობიო.

— თქვენს ათრთოლებულ ხმაში ვგრძნობ შიშს... ნუ ჰღელავთ, მალი, საიმისო არა მომხდარა-რა. აი, გაიარა საშინელების ტალღამ... დამშვიდდით...

— ლელო...

— მე ერთი ულატაკესი უბედური მილიონერი ვარ, მალი, და სწორედ ეს მასევდიანებს. მთელი ჩემი ქონება მილიარდებად ჰღირდა, უძირო პანამა იყო, მაგრამ რას ნიშნავს მთელი ეს სიმდიდრე იმ ლალის თვალთან შედარებით, რომელიც შემთხვევით ვიპოვნე გზად და ბავშვურის გამოუკვლელობით გადავტყორცნე ზღვად ოქროს თევზების გასართობად! დავკარგე ჩემი ლალი და მილიარდებმაც დაჰკარგეს შნო, როგორც რიყის უბრალო კენჭებმა. მაშ რაღა ვარ, მალი, რა? ან რაღა მრჩება სასიხარულო, რომ ვიცინო, ქვეყნის ბედნიერების ფერხულში ჩავება? ნუ მკითხავთ, რადა ხარ მოწყენილიო, არა, მკითხეთ, რაღა მაქვს სამხიარულო! თქვენთვის, დიახაც რომ ყოველისფერი რიგზეა, უფლებაცა გაქვთ ბედნიერი იყოთ, რადგანაც თქვენ ღარიბი მთელს მილიონებს ჰშოულობთ, მილიარდათ შეუსყიდველ იმ ლალსა და იაგუნდს აგოგმანებთ თლილი თითებით, რაზეც მე, მილიარდელ ღატაკს არასოდეს ხელი არ მამიწვდება. გაიხარეთ, მალი, გაიხარეთ! მზე თქვენთვის თინათინობს, მაისის ვარდები თქვენთვის იფურჩნებიან, ფრინველთა გალობა ღვთაების ორკესტრად შეგესმით, მწერნი თქვენთვის დაზუზუნებენ, ვარსკვლავნიც სხივთა ყვავილებს გიფენენ ფიანდაზად, იაგუნდსა და ლალს გესვრიან და მარგალიტის კუნწულა კისკისით თავზე გევლებიან, ზმანების ღიმილად გფურჩნიან და ალერსით გათრობენ. მე კი, მე... მალი... ნურასა მკითხავთ... სული ჩემი ერთ დროს სამოთხის სადარი და ვარდ-ყვავილების უმჭკნარი ხეივანი, დღეს მთლად ჩამოსჭკნა, გაუდაბნოებულია. აღარასფერს არ ეთვისება. მართალია, ძველად რაღაც დიდებულ რამეებზე ვფიქრობდი, ვოცნებობდი, მაგრამ რაც საიდუმლოს დავუახლოვდი და მას ფარდა აეხადა, როდესაც დავრწმუნდი, რომ ყველა ეს ციური სამკაული გატყორცნილია, ოცნების ბანკში დაგირავებული და მაცდურ ცისარტყელის სხივებით ათინათინებული, დავეცი, წარმოიქცა ჩემი სიონიც, მილიონერი უეცრივ გლახაკის ბედის მომჩივარი გავხდი. აი, ამიტომ არის, რომ ჩემი იდეალი, მიუწდომელი ჩემი ოცნება ეხლა ისეთსავე სისულელედ მიმაჩნია, როგორც ლოთ მაწანწალას ღვთაებრივი მადონას ჰაეროვანი სანახაობა. არა, ნუ მკითხავთ, მალი, თუ რაზე სწუხან ჩემი მობინდული, უძილობით მიმქრალი თვალები, ან რას დასტრიალებენ გასისხლიანებულის ფრთებით წუხილისაგან დამსხვრეული შავი ფიქრები.

მალი თრთოლვით უსმენდა ლელოს უცნაურს აღსარებას. ხან ფითრდებოდა, ხან კი წითლდებოდა. თვალები დაეხარნა, თითქოს ჰგრძნობდა, რომ ამ „მილიონერის“ გამღატაკებელი მართლა ის იყო.

— იცით, ლელო,—შეჰნიშნა მორცხვად,—ჩემს ცხოვრებაში თითქმის დარგი არ დარჩენილა, რომ არ მევარჯიშნოს, მით უმეტეს, ფილოსოფიაში, მაგრამ, წარმოიდგინეთ, დღევანდელი თქვენი ფერადოვანი, უკედ, მისტიური აღსარება, ჩემთვის მიუწვდომელია, უცნაური. არა, შეიძლება უცნაური არ იყოს, მაგრამ დღეს ასე მომეჩვენა. არც მსურს ბუნდოვან სამეფოდან კონკრეტ საკითხებში გადაგიყვანოთ. როგორც ქალს შემეძლო ამ მხრივ თავიც კი მომებეზრებინა თქვენთვის ათასი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ გუნებაზე არა ვარ, სხვა დროისთვის იყოს. ისევ სჯობს ფილოსოფოსობას დროებით თავი გავანებოთ და საყვარელ მუსიკით გავერთოთ. როგორც ყოველთვის, დღესაც მსურს „თეთრი ზამბახით“ დავიწყო და მითვე გავათავოთ. ვერ წარმოიდგენთ, შემიყვარდა ეს სერენადა! იგი ერთგვარი სიმბოლო გახდა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება მისი სინარნარით და უბიწოებით შევაზავო. აი, შეჰხედეთ როიალზედ გამწკრივებულს შუშის ვაზებს და თეთრ ზამბახებს. როგორ მოგწონთ? ის უცნობი კომპოზიტორი კმაყოფილი დარჩებოდა, აქ რომ შემოეხედნა და დაენახა, რომ ერთი თაყვანისმცემელთაგანი უცხოეთშიც ჰყოლია, აზიისა და ევროპის გასაყარში.

— უცნობი კომპოზიტორი კმაყოფილი დარჩებოდა...

გაიმეორა თავისთვის ლელომ და აფითრებულ ლოყებზე ხელი ჩამოისვა, რომ შეჩერებული სისხლი აემოძრავებინა.

— განა? მე მწამს... მწამს... ნეტავ თუ დაკვრას არ დამიწუნებდა?

— როგორ, მალი, თქვენ ისე ჩინებულად უკრავთ, ისეთის გრძნობით, რომ..

— განა? ოღონდაც! ასეთი უკვდავების ნიმუში ადამიანმა მთელის თვის არსებით უნდა შეიმცნოს, შეიყვაროს და მაშინ ეზიარება ამ მშვენიერების საიდუმლო ნეტარებას. გინდათ, დავუკრა?

მაგრამ მალის დასტურისთვის აღარ მოუცდია. კლავიშები მის შუშა თითების ქვეშ რაღაც გრძნობათა სალაროდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიქცნენ. ცხოვრების მშვენიერება მთელს ილლუზიად გარდაიშალა. სიხარული და მწუხარება ქალწულების იერით ჰკრთოდნენ და თითქოს ულრანი ტყიდან ზურმუხტ მდელოზე ციელქი ელფვით გამოჭრას ჰლამობდნენ, ეს იმ მდელოზე, სადაც ანტიურ ქალვაჟთა საუცხოვო ქანდაკთა ხეივანი ცეკვად უხმობდა თვითონ ღმერთებს. პირველმავე აკკორდმა ისე აუძგერა ლელოს გული, თითქოს ტყვედქმნილი ფრინველი ყოფილიყოს. ასე ეგონა გული გაეხსნა და ამ სინაზით აღსავსე აკკორდის ტალღები იქიდან მოსჩქეფს, სურნელად ეფრქვევა ამ ოთახს და იმიტომ არის, რომ ეს კვნესა, სიცოცხლის ძახილი, ეს მის გრძნობათა უკიკლუცესი და უკეთილშობილესი გამოძახილი, ასეთის სინაზით ეხვევა მას, ვინც გახდა მის შემოქმედების ზეშთამგონებელად. მალის ეს საიდუმლო ტალღები სწორედ ისეთივე სიყვარულით ეხვეოდა გარს, როგორც ზვირთებში ამოცურებულს აფროდიტეს ქაფის ლეჩაქი. ვით ტალღებზე მსრბოლელი ნავით გასერილი ზვირთები თეთრს არშიის მარაოთი აშრიალებულ ხვევნა-კოცნით იკეცებიან და უფსკრულის გულმკერდისკენ მიისწრაფებიან, ისე მალის მიერ ათრთოლებული აკკორდი მიჰყვებოდა მეორე აკკორდს და გრძნობათა ხვეულით გულის სიღრმეს ეკსოვებოდა.

— აჰ, მალი, მალი...

ოდნავის ამოკვნესით წაიჩურჩულა ლელომ. მალი შეკრთა. არასოდეს არა ჰსმენია ასეთი მისტიური და ძალოვანი, უცნაურობით მოკული ხმა. მთელს სხეულში ჟრუანტელმა დაურბინა. თავდავიწყების ლეჩაქი გაიხია. თითქოს თავბრუ ესხმოდა. უნდოდა თამაში განეგრძო, მაგრამ თითები მოუდუნდა, ხელი არ ემორჩილებოდა. ის-ის იყო კლავიშებზე მოსწყდებოდა კიდეც, რომ კლავიატურის მაღლა როიალის შავს კრიალა სარკის პირზე საილლუზიო ტონებით შეკაზმული ლელოს სახე დაინახა. ფერმიმკრთალ ვარდის ლანდს საუცხოვო თინათინებით შეჰვლეოდა შავტონების მოელვარე ტალღები. ლელო მის თავთან იხრებოდა. ორიოდ წუთით გარინდულმა მთრთოლვარე ხელი გააწოდა, უხმოდ ასწია მალის მოდუნებული მაჯა, ნელ ნელ ტუჩებთან მიიტანა და დიდხანს, ძალიან დიდ ხანს უხმოდვე ცრემლებით ჰნამავდა მის ბროლფიქალ შუშა თითებსა. მალი ჰიპნოზმა შეიპყრო. მის ხელში გაინაბა. სულ ვერ ამჩნევდა, რა ჰხდებოდა. არც ერთი შებრძოლება, არც ერთი საყვედურის კილო, თვით მაშინაც კი, როდესაც ლელომ ხელიდან უხმოკოცნა შუბლზე გადაიტანა

ამით დამთავრდა საიდუმლო განდობის სცენა. ლელო გაჰშორდა. უხმოდ, გამოუმშვიდობებლივ ფარფატით მივიდა კართან. სანთელსავით გაფითრებულმა ამღვრეული თვალები რამდენჯერმე მალისკენ გადმოჰხარა, მაგრამ ვერა შეამჩნია რა. მის გარშემო თითქოს ყოველისფერი ტრიალებდა, ყირავდებოდა. გავიდა. ჯარი სიფრთხილით გაიხურა. მალი კი. სანგრის მდგომარეობიდან ჯერაც არ გამოსულიყო. კლავიშებზე ცალი ხელი მოწყვეტით დაჰშვებოდა. პედალზე მარცხენა ფეხი დაებჯინა, მოდუნებულ იდაყვით თავს ძლივ-ძლივობისას იმაგრებდა. შემდეგ, თითქოს თავი გაახსენდაო, შეკრთა. შეშინებულსავით ოთახს თვალები მიმოავლო. ათასი უფსკრული შეამჩნია: თვითეული მათგანი საშინელებით ემუქრებოდა. მალიმ თვალები მოჰხუჭა, წამით წამოხტომა მოინდომა, რომ უცნაურ ლანდებს გაჰქცეოდა, მაგრამ ფეხები არ დაჰმორჩილდა. გულმა კვილი დაუწყო. ერთხელ კიდევ მიმოიხედა, ახლა კარებს მიაჩერდა და რომ აქაც ძე ხორციელი ვერავინ შეამჩნია გამოსახმაურებლად, კლავიშებზე იბრუნა პირი, დაემხო და თავშეუკავებლივ აქვითინდა.

დ. კახრაძე.

(შემდეგი იქნება)



ვანო სარაჯიშვილი: „...შემიბრალე, გენაცვალე!..“

ერისთავი და შავარდნაძე: „ფრესკებისაკენ!..

შარჟები მ. ჭიაურელისა.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ოედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანიაშვილი.